



## ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 162  
23/01/2018

ქალაქი ბათუმი

162-05-4-201801231728



**„თვითმმართველი ერთეულის - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის სარეზერვო ფონდის განკარგვის უზრუნველსყოფად კომისიის შექმნის შესახებ„ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2016 წლის 08 აპრილის №333 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესწახებ**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.ე“ ქვეპუნქტისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად **ვბრძანებ:**

1. შევიდეს ცვლილება „თვითმმართველი ერთეულის - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის სარეზერვო ფონდის განკარგვის უზრუნველსყოფად კომისიის შექმნის შესახებ„ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2016 წლის 08 აპრილის №333 ბრძანებაში და ბრძანების პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. შეიქმნა კომისია შემდეგი შემადგენლობით:

ა) ზვიად ხალვაში - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე - კომისიის თავმჯდომარე;

ბ) სოფიო მურვანიძე - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის ხელმძღვანელი - კომისიის თავმჯდომარის მოადგილე;

გ) ტარიელ ნაკაშიძე - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის ხელმძღვანელი - კომისიის წევრი;

დ) მზევინარ გათენაძე - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის უფროსი სპეციალისტი - კომისიის წევრი;

ე) თამილა ბერიძე - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ადმინისტრაციული სამსახურის მეორადი სტრუქტურული ერთეულის იურიდიული განყოფილების უფროსი სპეციალისტი - კომისიის მდივანი.“.

2. დაევალოს მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ადმინისტრაციული სამსახურის მეორადი სტრუქტურული ერთეულის მოქალაქეთა მომსახურებისა და საქმისწარმოების განყოფილებას (ნ.ქოქოლაძე) ბრძანების გაცნობა (მიწოდება) დაინტერესებულ მხარეებზე.

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში (მის. ქალაქი ბათუმი, ფრიდონ ხალვაშის გამზირი №358) დაინტერესებული მხარის მიერ მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ჯუმბერ ვარდმანიძე

მუნიციპალიტეტის მერი

ხელმძღვანელობა

